

შპს წუნდა

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს.

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ----	6-13

შპს "წუნდა"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	4 096 773,39	4 389 858,37
არამატერიალური აქტივები	5	21 963,86	24 548,66
სულ გრძელვადიანი აქტივები		4 118 737,25	4 414 407,03
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ც	6	1 501 456,71	998 524,83
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნებ	7	479 201,26	71 268,57
მარაგები	8	1 566 162,54	1 541 756,25
წინასწარ გადახდილი გადასახადები		175 013,45	176 149,50
სულ მოკლევადიანი აქტივები		3 721 833,96	2 787 699,15
სულ აქტივები		7 840 571,21	7 202 106,18
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		7 840 571,21	7 202 256,18
გადაფასების რეზერვი			-
სულ კაპიტალი		7 840 571,21	7 202 256,18
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები			
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულება	11	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი			-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულ	9	-	(150,00)
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		-	(150,00)
სულ ვალდებულებები		-	(150,00)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		7 840 571,21	7 202 106,18

დირექტორი:

ა. ნათესაძე

შპს "წუნდა"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის
დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2022
ამონაგები	12	4 852 173
თვითღირებულება	13	(1 525 957)
საერთო მოგება		3 326 216
სხვა შემოსავლები		-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(2 215 175)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	14	-
სხვა ხარჯები	15	(42 593)
საოპერაციო მოგება		1 068 448
ფინანსური შემოსავალი		52 037
ფინანსური ხარჯი	17	-
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(5 328)
მოგება დაბეგვრამდე		1 115 157
მოგების გადასახადი	18	-
წმინდა მოგება		1 115 157
სხვა სრული შემოსავალი:		
მთლიანი სრული შემოსავალი		1 115 157

დირექტორი:

ა. ნათეძე

შპს "წუნდა"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასები ს რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი			7 202 256,18	7 202 256,18
წმინდა მოგება	-	-	1 115 157	1 115 157
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1 115 157	1 115 157
გაცემული დივიდენდი	-	-	(476 842)	(476 842)
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	7 840 571	7 840 571

დირექტორი:

ა. ნათეძე

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „წუნდა“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 1997 წლის 30 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისი საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით B12051227. კომპანიის იურიდიული/ფაქტიური მისამართია: ქ.თბილისი, გიორგი სააკაძის 18-ა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავეჯის წარმოება. კომპანიის წილის მფლობელები არიან: 65 % იანი წილის მფლობელი ალექსანდრე ნათენაძე პ/ნ 01027000802, 35%-იანი წილის მფლობელი ბადრი ბერიძე პ/ნ 01029002246 კომპანიის დირექტორია ალექსანდრე ნათენაძე პ/ნ 01027000802.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2022 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ **ძირითად** ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან.

მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შემენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ბ) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

გ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობა – ნაგებობები	50
მანქანა–დანადგარები	10

დამხმარე სამედიცინო ხელსაწყოები	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10
ავტომობილები	10
ელექტრო მოწყობილობები	10

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

შენიშვნა-6

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31/12/2022	31/12/2021
ფული სალაროში	4 515	83 194
ფული საბანკო ანგარიშებზე	1 496 942	915 331
	1 501 457	998 525

შენიშვნა-9

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო ვალდებულებები	-	(150)
გადასახელი ხელფასები	-	-
გადასახდელი პროცენტები	-	-
გადასახდელი დივიდენდები	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-
	<u>-</u>	<u>(150)</u>

შენიშვნა-7

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	(6 586)	(46 812)
ვადახდელი ავანსები	485 787	118 081
სხვა მოთხოვნები	-	-
	<u>479 201</u>	<u>71 269</u>

შენიშვნა-8

მარაგები

ლარში	31/12/2022	31/12/2021
მზა პროდუქცია	210 466	206 745
ნედლეული	763 216	747 792
დაუმთავრებელი წარმოება	477 825	519 961
საქონელი	-	-
სხვა მარაგები	114 656	67 259
	<u>1 566 163</u>	<u>1 541 756</u>

შენიშვნა-12

ამონაგები

ლარი	31/12/2022
მზა პროდუქციის რეალიზაცია	4 852 173
ნედლეულის რეალიზაცია	-
მომსახურების რეალიზაცია	-
	<u>4 852 173</u>

თვითღირებულება

ლარი	31/12/2022
მზა პროდუქციის თვითღირებულება	1 500 469
ნედლეულის თვითღირებულება	25 488
მომსახურების თვითღირებულება	-
	1 525 957

რეალიზებული მზა პროდუქციის თვითღირებულების კომპონენტები

	31/12/2022
პირდაპირი მასალები	-
შრომითი ანაზღაურება	1 500 469
კომუნალურები	-
იჯარა	-
ცვეთა	-
დამხმარე მასალები	-
რემონტები	-
სხვა	-
	1 500 469

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31/12/2022
შრომის ანაზღაურება	1 503 215
ცვეთა და ამორტიზაცია	321 045
საგადასახადო ხარჯი	6 532
საკონსულტაციო ხარჯი	-
რემონტის ხარჯი	-
ბანკის მომსახურება	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	-
იჯარის ხარჯი	-
მივლინების ხარჯები	2 241
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	225 768
კომუნიკაციის ხარჯები	156 375
	2 215 175

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბრით;

დირექტორი:

ა. ნათეძაძე